

შპს “ავიაკოპტერი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ავიაკოპტერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება	9
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მომზადებულია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების “ავიაკოპტერი”-ს ხელმძღვანელობისათვის

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ავიაკოპტერი”-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ავიაკოპტერი“-ს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ავიაკოპტერი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან ჯვარშიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N SARAS-F-632766)

შპს “ლევინგ“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 12 ივნისი

აუდიტორი :

ლევან ჯვარშიშვილი



(საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 21 მაისს გაცემული აუდიტორის სერთიფიკატი №N6/184, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორის სარეგისტრაციო N SARAS-A-328621 აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო N SARAS-F-632766)

„შპს ავიაკოპტერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023	2022
ამონაგები	832,511	670,113
	832,511	670,113
ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი	(91,647)	(551,163)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(494,757)	(391,121)
საწვავი	(78,609)	(139,228)
ცვეთა და ამორტიზაცია	(272,223)	(225,900)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(199,250)	(204,134)
	(1,136,486)	(1,511,546)
საოპერაციო მოგება	(303,975)	(841,433)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	5,777	377,354
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(93,889)	(98,729)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	3,252	
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	(388,835)	278,625
მოგების გადასახადის ხარჯი		
მოგება/(ზარალი)	(388,835)	(562,808)

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2024 წლის 10 ივნისი:

შპს ავიაკოპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

10 ივნისი 2024 წელი

ფინანსური დირექტორი

შპს „ავიაკოპტერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

31 დეკემბერი 2023

1 იანვარი 2023

აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,020,453	2,273,999
არამატერიალური აქტივები	700	700
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,021,153	2,274,699
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	179,983	9,677
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,060	65,950
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
წინასწარ გადახდილი თანხა	125,004	135,686
სულ მოკლევადიანი აქტივები	332,047	211,313
სულ აქტივები	2,353,200	2,486,012
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,184,741	1,762,181
გაუნაწილებელი მოგება	(1,761,712)	(1,372,877)
სულ კაპიტალი	423,029	389,304
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	1,720,391	1,919,253
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,720,391	1,919,253
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სხვა ფინანსური ვალდებულება	40,607	22,644
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	169,172	154,811
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	209,779	177,455
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,353,200	2,486,012

შპს ავიკოპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

10 ივნისი 2024 წელი



შპს „ავიაკოპტერი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2022	103780	-810069		-706289
გაცემული დივიდენდები				
მთლიანი სრული შემოსავალი		-562808		-562808
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1658401			1658401
31 დეკემბერი 2022	1762181	-1372877		389304
გაცემული დივიდენდები				
მთლიანი სრული შემოსავალი		-388835		-388835
საწესდებო კაპიტალის ზრდა	422560			422560
31 დეკემბერი 2023	2184741	-1761712		423029

შპს ავიკოპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

10 ივნისი 2024 წელი



შპს „ავიაკოპტერი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მთლიანი სრული შემოსავალი	(388,835)
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	272,223
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	93,889
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	5,777
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	(16,946)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-
მარაგები	(170,306)
წინასწარ გადახდილი თანხა	10,682
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,361
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(162,210)
გადახდილი მოგების გადასახადი	-
	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	(162,210)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
მოკლევადიანი ინვესტიციები	-
ძირითადი საშუალებები	(18,677)
არამატერიალური აქტივები	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(18,677)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	
საწესდებო კაპიტალი	422,560
სესხების მიღება	405,000
სესხების გადახდა	(691,341)
გაცემული დივიდენდი	-
	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება ფინანსური საქმიანობიდან	136,219
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(44,667)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	65,950
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	5,777
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	27,060

შპს ავიაკოპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

10 ივნისი 2024 წელი



შპს „ავიაკოპტერი“

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს „ავიაკოპტერი“ სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2018 წლის 25 ივლისს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 406252576

საზოგადოების დამფუძნებელია:

მესაკუთრე:

ვლადიმერ ხოსიაშვილი, 13001011245, 40%

ნინო კაპანაძე, 01010004713- 60%

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, აერაპორტის დასახლება, კორპ N130, ბ. N11

საზოგადოების დირექტორია:

ანა ტივაძე (პ/ნ 05001011139)

ორგანიზაციის საქმიანობის სახე:

საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო გადაყვანა გადაზიდვა, საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო საშუალებების შეძენა და ექსპლუატაცია, საავიაციო და სპეციალური საავიაციო სამუშაოების შესრულება და მგზავრებისა და ტვირთების საჰაერო გადაყვანა გადაზიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძველები

შპს „ავიაკოპტერის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის“.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ვალუტას;

2.4 შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან;

ორგანიზაცია განხორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას. შემოსავლის აღიარება საკომისიოს სახით ხდება ხელშეკრულებაში არსებული პირობების შესაბამისად, როდესაც შესაძლებელია მისაღები ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

2.5 ხარჯები

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

2.6 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.7 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება;

2.13 დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას. კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

2.15 გადასახადები

ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2023	-	90,791	32,474	2,766,278	2,889,543
შემოსვლა	-	-	18,677	-	18,677
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	-	90,791	51,151	2,766,278	2,908,220
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023		(17,158)	(9,893)	(588,493)	(615,544)
ცვეთა წლის განმავლობაში		(8,579)	(5,969)	(257,674)	(272,223)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	(25,737)	(15,863)	(846,167)	(887,767)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2023	-	73,633	22,580	2,177,785	2,273,999
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2023	-	65,054	35,288	1,920,111	2,020,453

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	01.01.2023
სათადარიგო ნაწილები	179983	9677
სულ სასაწონლო მატერიალური მარაგი	179983	9677

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	01.01.2023
გადახდილი ავანსები	124,627	-
წინასწარ გადახდილი თანხა	377	135,686
სულ სასაწონლო მატერიალური მარაგი	125,004	135686

ფული და ფულის ექვივალენტი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	01.01.2023
ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	8,815	22,935
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	18,245	43,015
ჯამი	27,060	65950

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	01.01.2023
	-	-
მიღებული სესხი	1,720,391	1,919,253
სულ სესხი	1,720,391	1919253

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად

	31.12.2023	01.01.2023
	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	169,171	154,811
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	169,171	154811

შემოსავალი ამონაგებიდან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

	31.12.2023	01.01.2023
	-	-
შემოსავალი რეალიზაციიდან	832,511	670,113
სულ	832,511	670113

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

7350, საწვავის და სატრასპორტო საშუალების ხარჯი	78,609
7410, შრომის ანაზღაურება	494,757
7420, საიჯარო ქირა	14,000
7435, დაზღვევა	78,925
7450, საკონსულტაციო ხარჯები საბუღალტრო მომსახურება აუდიტი იურიდიული მომსახურება	5,000
7455, ცვეთა და ამორტიზაცია	272,223
7460, ვერტფრენის რემონტის და ისპექტირების ხარჯი	91,647
7471, მივლინების ხარჯი ნორმის ზემოთ	11341
7480, ბანკის საკომისიო ხარჯი	2,551
7490, სხვა საერთო ხარჯები	86,426

ჯამი	1,135,479
-------------	------------------

3. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

სამანდ დავოიანი არის საწარმოსთან დაკავშირებული მხარე , ის გახლავთ ნინო კაპანაძის მეუღლე

4. სხვა მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი სხვა მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

6. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2024 წლის 10 ივნისს